ოქმი:**ო05. 3726071001**

თარიღი:**12/03/2026**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 10 მარტი

ქ.ოზურგეთი

12:30 – 13:00-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ხომერიკი, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ქ. კვაჭანტირაძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი; გენო მორჩილაძე

2 ,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი; გენო მორჩილაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ "ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექციის" მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

4.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის

რეგულირებად სფეროებად განსაზრვრული ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორია) სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციის სამსახურის ანგარიში, ვრცლად ანგარიშზე კომისიის წევრებს ესაუბრა და დასმულ შეკითხვებს უპასუხა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ მათ შორის მერიაში შემისულ მოქალაქეთა განსხადებების დროულ რეგისტრაციაში არსებულ ხარვეზებზე, საუწყებო არქივის მოწესრიგებაზე და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის რწმუნებულის თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების აღირცხვაზე და სხვა. სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ანგარიში პასუხობს არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებს და შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის მ. ჩხიკვიშვილის წინადადებას ანგარიში წარედგინოს საკრებულოს სხდომას განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ვრცლად ანგარიში კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ და უპასუხა დასმულ შეკითხვებს. მათ შორის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებს და შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის მ. ჩხიკვიშვილის წინადადებას ანგარიში წარედგინოს საკრებულოს სხდომას განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი, ვრცლად ანგარიში კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა ავ. ჩხაიძემ და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ანგარიში ძირითადად პასუხობს არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებს და შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის მ. ჩხიკვიშვილის წინადადებას ანგარიში წარედგინოს საკრებულოს სხდომას განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მეოთხე საკითხი, აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოში შენიშვნები და წინადადებები პროექტთან დაკავშირებით არაა შემოსული. განაცხადა, რომ პროექტი აკმაყოფილებს თვითმმართველობის ნორმატიული აქტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების

პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1,2,3 საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვის, შეფასების და ცნობად მიღების, ხოლო N 4 საკითხი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი